

შპს „შვიდი მითი“

**2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		382 154	1 078 893
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		7 622 770	7 298 763
გადახდილი ავანსები		504 132	359 587
მარაგები	3.1.	4 255 018	4 099 086
სხვა მიმდინარე აქტივები		56 453	11 978
გაცემული მოკლევადიანი სესხები	3.2.	-	5 632
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 820 526	12 853 939
ძირითადი საშუალებები	3.3.	3 767 718	3 618 500
არამატერიალური აქტივები	3.3.	4 911	5 943
გაცემული გრძელვადიანი სესხები	3.2.	-	-
შვილობილ და მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის თვითღირებულება		618 383	-
სულ აქტივები		17 211 538	16 478 382
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4.	2 017 811	2 309 208
საგადასახადო ვალდებულებები		144 971	57 252
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		258 429	21 862
სასესხო ვალდებულებები	3.5.	4 557 479	5 732 628
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6 978 690	8 120 950
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		10 232 748	8 357 333
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17 211 538	16 478 382

დირექტორი
რამაზ ანდლულაძე რ. ანდლულაძე

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.6.	19 292 036	19 132 352
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.6.	(14 482 323)	(14 843 919)
საერთო მოგება		4 809 713	4 288 433
მიწოდების ხარჯები	3.7.	(50 021)	(38 842)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.7.	(1 814 871)	(1 680 896)
ცვეთა და ამორტიზაცია		(512 062)	(552 783)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.7.	(360 983)	(324 904)
საპროცენტო შემოსავალი		40 069	313 766
საპროცენტო ხარჯი		(429 745)	(719 132)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 682 100	1 285 643
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(105 488)	-
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		827 370	747 246
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.8.	74 829	74 717
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.9.	(17 794)	(10 963)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2 461 017	2 096 642
მოგების გადასახადის ხარჯი		(88 759)	(31 765)
წლის (ზარალი)/მოგება		2 372 258	2 064 878
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		2 372 258	2 064 878

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე რ. ანდლულაძე

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 472 455	6 472 555
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 064 878	2 064 878
განაწილებული დივიდენდი	-	(180 000)	(180 000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	8 357 333	8 357 433
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 372 258	2 372 258
პარტნიორის დამატებითი შენატანი	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(496 842)	(496 842)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	10 232 748	10 232 848

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე 

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2022 წ.	2021 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	22 383 601	22 317 212
გადახდილი გასამრჯელოები	(1 392 694)	(1 295 135)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(15 501 196)	(15 754 237)
გადახდილი გადასახადები	(3 872 860)	(3 789 114)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	(500)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1 616 850	1 478 225
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(779 092)	(27 535)
მიღებული პროცენტები	40 069	95 182
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(739 023)	67 647
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	8 872 998	10 484 132
მიღებული სესხის გადახდა	(9 506 258)	(11 015 958)
სესხის გაცემა	-	(406 460)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	479 680
გაცემული დივიდენდები	(472 000)	(171 000)
გადახდილი პროცენტები	(429 745)	(500 434)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 535 005)	(1 130 041)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(657 177)	415 831
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	1 078 893	701 315
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(39 562)	(38 253)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	382 154	1 078 893

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე 

**2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი“ (შემდგომში – კომპანია ან ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2009 წლის 23 თებერვალს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205273595, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N10-12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 100%;

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ ანდლულაძე.

1.4. ჯგუფის მშობელი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების ან/და დამხმარე მასალების (მ.შ. ტარა მასალების) იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა.

1.5. ჯგუფში შედის ერთი შვილობილი საწარმო. შპს „რიმ 2014“ (ს/კ 405075671), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 100%-ს. ამ შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა.

1.6. ჯგუფის მშობელ საწარმოს ჰყავს მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები რეგისტრირებული არიან უკრაინაში, ამ საწარმოების წილი (კონტროლის გარეშე) შეძენილ იქნა 2022 წლის საანგარიშო პერიოდში:

შპს კვფ ტრეიდი 32797891

შპს ეკო რესურს უკრაინა 37628504

შპს ეკო პრომ აქტივი 41454919

1.7. 2022 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 42 კაცს.

1.8. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	3 197 528	3 126 603
მზა პროდუქცია	194 810	151 527
ნედლეული და მასალები	860 451	818 066
სხვა მარაგები	2 229	2 891
სულ მარაგები	4 255 018	4 099 086

3.2. გაცემული სესხები:

ლარი	31.12.2022	31.12.2021
გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	-
გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული პროცენტები	-	5 632
	-	
სულ ფინანსური აქტივები	-	5 632

3.3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 782 023	176 367	132 818	13 089	5 860 607
შესყიდვები	-	-	638 510	21 737	-	-	660 247
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	2 420 533	198 105	132 818	13 089	6 520 855
ცვეთა							
ცვეთის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(890 591)	(1 090 025)	(146 397)	(102 005)	(7 146)	(2 236 164)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(149 536)	(333 479)	(15 423)	(12 591)	(1 032)	(512 062)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1 040 127)	(1 423 504)	(161 821)	(114 596)	(8 178)	(2 748 226)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 570 686	691 998	29 970	30 812	5 943	3 624 443
2022 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 421 150	997 029	36 284	18 221	4 911	3 772 629

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	126 166	99 400
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	1 891 644	2 209 808
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 017 811	2 309 208

3.5. მიღებული სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2021 წ., ასევე 31.12.2022 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „პროკრედიტ ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

ლარი	31.12.2022	31.12.2021
მიღებული მოკლევადიანი სესხები	3 243 953	3 669 156
მიღებული გრძელვადიანი სესხები	1 313 525	2 063 472
სულ მიღებული სესხები	4 557 479	5 732 628

3.6. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2022 წ.	2021 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	19 017 617	18 908 088
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	274 419	224 265
გაყიდვების თვითღირებულება	(14 482 323)	(14 843 919)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის ღირებულება	4 809 713	4 288 433

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2021 და 2022 წლებში მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ლარი	2022 წ.	2021 წ.
მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები	50 021	38 842
ხელფასი	1 794 141	1 662 089
სავალდებულო საპენსიო შენატანი	20 730	18 807
მივლინების ხარჯი	59 117	37 029
საოფისე ხარჯი	7 477	8 203
კომუნალური ხარჯი	66 448	64 163
კომუნიკაციის ხარჯი	8 607	11 908
კომპიუტერის ხარჯი	4 773	5 356
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	84 633	30 695
დაზღვევა	8 956	14 646
საგადასახადო ხარჯი	36 517	48 016
საბანკო ხარჯი	48 344	56 218
მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯი	5 243	5 268
წარმომადგენლობითი ხარჯი	23 905	14 971
რემონტის ხარჯი	1 390	13 870
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	5 573	14 561
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	2 225 875	2 044 642

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2022 წ.	2021 წ.
ვალდებულების ჩამოწერა ან/და გაუფასურება	62 999	32 437
ინვენტარიზაციის შედეგები	11 231	26 711
სხვა შემოსავალი	598	15 569
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	74 829	74 717

3.9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2022 წ.	2021 წ.
გადახდილი ჯარიმები და საურავები	1 612	10 924
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16 181	40
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17 794	10 963

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2022 წელს კომპანიის პარტნიორმა გადაწყვიტა გასულ მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 496 842 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2022 წელს კომპანიას წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 88 759 ლარი შეადგინა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.